

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან თამარ ღვამიჩავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
ადმინისტრაციული სამართლისა და პროცესის კათედრა

ანოტაცია

ავტორი ნაშრომში ეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან საკითხებს. ნაშრომში აქცენტია გაკეთებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არსზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე, განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, ვინაიდან იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორები იძლევიან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნებების განსხვავებულ განმარტებებს. ასევე ნაშრომში საუბარია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამიჯვნაზე სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტებზე და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე. გამახვილებულია ყურადღება არაბრალეული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ, ახსნილია იურიდიულ პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არსი. ასევე აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ, მხოლოდ, როგორც დასჯა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, არამედ საზოგადოების უსაფრთხოებისათვის სამართალდამრღვევის გამოსწორება და დაადმინისტრაციული გადაცდომის პროფილაქტიკა ნაშრომი ეყრდნობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის საერთო პრინციპებს.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა),
ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება დემოკრატიულ სახელმწიფოში მჭიდროდაა დაკავშირებული კანონიერების, მისი უზენაესობის პრინციპთან, აქედან გამომდინარე ბრალეული პასუხისმგებელია იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სამართალდარღვევის სიმძიმის მიუხედავად. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან, რომელიც გამოწვეულია კანონის ნორმების მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედებასთან.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა პირს ჩადენილი აქვს უმნიშვნელო ხასიათის სისხლის სამართლის დარღვევა (დანაშაული), მაგრამ მაინც შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემით დასაშვებია მხოლოდ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქ სასჯელს.

სხვა შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დროს.

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად სხვა სახის პასუხისმგებლობის გამოყენება დასაშვებია (გარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა).

კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა შესაძლებლად მიიჩნევს პირის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემასაც, როცა მას ჩადენილი აქვს ადმინისტრაციული გადაცდომა, ასევე შესაძლებელია მატერიალური პასუხისმგებლობის გამოყენება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დროს ყოველთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დგება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებსა და შეკრებაზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულებებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ დისციპლინურ წესდებათა მიხედვით, გარდა ზოგიერთი ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისათვის. კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობისა და გარემოს დაცვის სხვა წესების დაღვევისა და კონტრაბანდისათვის ამ პირთ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთო საფუძველზე. აღნიშნულ პირებს შეიძლება შეეფარდოთ ადმინისტრაციული პატიმრობა (ჰაუტვახტში მოთავსება). ასევე დასაშვებია ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემის ნაცვლად გათავისუფლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის მიცემით, თუ ჩადენილია უმნიშვნელო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განსხვავდება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.

უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განსხვავდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგება სამართალდარღვევებისათვის, განურჩევლად სამსახურებრივი ქვემდებარეობისა, დისციპლინური პასუხისმგებლობა კი დაკავშირებულია სწორედ ასეთ ქვემდებარეობასთან ან ადმინისტრაციის წინაშე ქვემდებარეობასთან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან დაუდვრად შესრულებისათვის.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს სამსახურებრივ პროცესშიც. მაგალითად, სახანზრო თუ სანიტარული წესების დარღვევისას. მაგრამ თუ დისციპლინურ პასუხს ასეთ დროს მუშაკი აგებს ადმინისტრაციის წინაშე, ადმინისტრაციულ პასუხს იგი აგებს სპეციალური ორგანოს (ინსპექციის) წინაშე.

ძირითადი განსხვავება ადმინისტრაციულ და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის სამსახურებრივი დაქვემდებარება არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი თვლის.

არსებითი განსხვავება ამ ორი სახის პასუხისმგებლობას შორის იმაში გამოიხატება, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევისას, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობა შრომის შინაგანაწესის ან სამუშაოზე სემოდებული სხვა წესებისა და მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

მაშასადამე, დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განსხვავდება დისციპლინური და ადმინისტრაციული გადაცდომების განსხვავებული ობიექტების მიხედვით.

მატერიალური პასუხისმგებლობა განსხვავდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. იგი დადგება მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში.

მატერიალურმა ზიანმა შეიძლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს. მაგალითად, ნათესების წახდენის დროს პირუტყვის მეპატრონე პასუხს აგებს არა მარტო მიყენებული ზარალის ანაზღაურებით, არამედ ადმინისტრაციული წესითაც. კერძოდ, მას დაეკისრება ნათესების წახდენისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმა, მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან ერთად.

ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული გადაცდომა და პირი მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში, ხოლო ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს მიყენებული ზარალის ოდენობა და მისი გადახდის წესიც.

სხვა შემთხვევაში როცა მატერიალური ზარალი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, დგება მხოლოდ მატერიალური პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ფორმა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან შედარებით, არ იწვევს ნასამართლობას, არ არის დაკავშირებული მოქალაქის პირადი თავისუფლების მკაცრ შეზღუდვასთან, არ იწვევს სხვა მძიმე შედეგებს, როგორც ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენებისა და სასჯელის შეფარდების დროს ხდება.

ამასთან თუ პირს ჩადენილი აქვს ერთდროულად ადმინისტრაციული გადაცდომაცა და სისხლის სამართლის სამართლებრივი დარღვევაც (დანაშაული), დადგება მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი, როგორც პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი ფორმა, შთანთქმავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

პასუხისმგებლობის ამ ორი სახის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული გადაცდომის განსხვავებას დანაშაულისაგან, ვინაიდან სამართალდარღვევის ეს ორი განსხვავებული სახე იწვევს იურიდიული პასუხისმგებლობის განსხვავებულ ფორმებსაც.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდაა მიჩნეული საკითხი იმის შესახებ თუ რით განსხვავდება ადმინისტრაციული გადაცდომა დანაშაულისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, სასაკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. [1]

ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული გადაცდომის დანაშაულისაგან განსხვავებისას იურისტები იყოფიან ორ ჯგუფად. ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ადმინისტრაციული

გადაცდომა განსხვავდება დანაშაულისაგან საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობით, რომ დანაშაული ყოველთვის საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომა მოკლებულია ამ ნიშანს (ნ. დ. დურმანოვი, მ.ა. მაშკოვსკი, ვ. ნ. კუდრიავეცი, ი. ს. სამოსშჩენკო, გ.ი. პეტროვი, ი.მ. კოზლოვი, გ.ა. ერემოვი და სხვები.).

ავტორთა მეორე ჯგუფს კი მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი ახასიათებს ყოველგვარ სამართალდარღვევას, მაგრამ მეტ-ნაკლები ხარისხით (ა.ა. პიონტოვსკი, ო.პ. შიშოვი, ა.ე. ლუნიოვი, თ.ვ. წერეთელი და სხვები).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-11 ნაწილში აღნიშნულია, რომ დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. დასახელებული მუხლის ეს ფორმულირება ნიშნავს, რომ ზოგიერთი ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, შეიძლება დანაშაული არ იყოს მისი უმნიშვნელო ხასიათის გამო, არამედ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ან დისციპლინური გადაცდომა, რომლებიც მათი მცირე მნიშვნელობის გამო არ იწვევენ ისეთ ზიანს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ან მათ არ შეუქმნიათ ასეთი ზიანის საფრთხე. [2]

დასახელებულ მუხლში ლაპარაკია სწორედ ისეთ არამართლზომიერ ქმედებაზე, რომელიც, მართალია, დანაშაული არ არის მისი მცირე მნიშვნელობის გამო, მაგრამ მას კანონმდებელი მიიჩნევს სხვა არამართლზომიერ ქმედებად --- ადმინისტრაციულ თუ დისციპლინურ გადაცდომად ან სამოქალაქო დელიქტად, მაშასადამე, ეს უკანასკნელი დარღვევები მოკლებულია მნიშვნელოვან ზიანს.

საზოგადოებრივი საშიშროების ნიშანი მისი მეტნაკლები ხარისხი დამახასიათებელია სწორედ დანაშაულისათვის რომელიც საშიშროებას ქმნის მთელი საზოგადოებისათვის, მთელი მართლწესრიგისათვის. ადმინისტრაციული გადაცდომები, თუნდაც ერთობლიობაშიც კი, არ ქმნიან სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებაში.

ადმინისტრაციული გადაცდომები უმნიშვნელო დარღვევებია, რომელთა გამოსწორება და თავიდან აცილება ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ ადმინისტრაციული გადაცდომაც მართლსაწინააღმდეგოა, ვინაიდან იგი არღვევს კანონს, საზიანოა საზოგადოების წევრებისათვის, მმართველობის ორგანოებისათვის, ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებებისათვის. ამიტომ, როდესაც ადმინისტრაციული გადაცდომა მძიმე შედეგების მომტანია, როდესაც მას სისტემატური ხასიათი აქვს, იგი ხშირად იძენს მნიშვნელოვანი ზიანის ნიშანს და გადაიზრდება დანაშაულში. ყველა ასეთ შემთხვევაში დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან ეს ქმედებანი, რომლებიც გარეგნულად ადმინისტრაციულ გადაცდომებს წააგვანან, დანაშაულს განეკუთვნებიან მნიშვნელოვანი ზიანის გამო, დიდი ზიანის გამოწვევის შენეგად.

ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო სისტემატურად ჩადენილი დარღვევების შედეგად, არამედ სხვა ობიექტური და სუბიექტური გარემოებების გამოც (დარღვევის განძრახ ჩადენა, ღქმედების მძიმე შედეგები და სხვა). ყველა ამ გარემოებათა შეფასების შედეგად დგინდება ქმედების

ზიანის სისხლისსამართლებრივი, საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან მისი არარსებობა.

ადმინისტრაციული გადაცდომა, ისევე როგორც დისციპლინური გადაცდომა და ამოქალაქო დელიქტი მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. ქმედების საზოგადოებრივად საშიში ნიშანი დღეს არ არის გაზიარებული და შემოდებულია დანაშაულებრივი ზიანის ცნება, რომელიც უფრო მართებულია, ვინაიდან დიდი (დანაშაულებრივი) ზიანი შეიძლება სულაც არ იყოს საშიში, სამაგიეროდ სტიქიური უბედურების წესების დარღვევა, რომელიც საზოგადოებრივად საშიშ მოვლენებთანაა დაკავშირებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე არასრულწლოვანის მიერ გადაცდომის ჩადენისას პასუხს აგებს მისი მშობელი ან მშობლის შემცვლელი პირი. ამასთან, მშობლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დასაშვებია 18 წლამდე არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის, როცა არასრულწლოვანი სწავლობს და დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო არ გააჩნია. ეს, ერთი შეხედვით მშობლის არაბრალეული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა, ვინაიდან იმავე არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მშობლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სავსებით სამართლიანად გამორიცხულია.

ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის დროსაც გამორიცხული ინდა იყოს მშობლის პასუხისმგებლობა თავისი არასრულწლოვანი შვილის ბრალისათვის, მაგრამ კანონმდებელი პრთხილობს, რომ ასეთმა არასრულწლოვანმა მომავალში უფრო მძიმე დანაშაული არ ჩაიდინოს, რისთვისაც მშობლის მიმართ იყენებს ადმინისტრაციულ ჯარიმას შვილის მიერ ჩადენილი გადაცდომის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი სამართალი გამორიცხავს ობიექტურ შერცხვას მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის გამო არასწორად არის მიჩნეული. [3]

16 – დან 18 წლამდე ასაკის პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, შეეფარდებათ აღმზრდელობითი და მატერიალური ზემოქმედების ზომები, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ პასუხისმგებლობასაც საერთო საფუძველზე (მაგალითად სანიტარული წესების დარღვევისთვის).

თანამდებობის პირები ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სხვა იმ წესების დაუცველობასთან, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა შედის მათ სამსახურებრივ მოვალეობაში. თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცალკეული გადაცდომისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, ისინი ადმინისტრაციულ პასუხს აგებენ გადაცდომისათვის საერთო საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, ხოლო ის პირები, რომლებიც საერთაშორისო ხელსეკრულების თანახმად სარგებლობენ ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტით, ადმინისტრაციულ პასუხს აგებენ დიპლომატიური გზით.

ბრალეული თანამდებობის პირის მიმართ ჯარიმისამოღების შეუძლებლობისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იურუდიულ პირს იქ, სადაც ეს დარღვევა მოხდა. იურუდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

გამოიყენება მხოლოდ ჯარიმის დაკისრების სახით, რაც არ ათავისუფლებს ბრალეულ თანამდებობის პირს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში ყოფნისაგან 1 წლის მანძილზე.

თუ ჩადენილია ნაკლებ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ საქმის გადასაწუვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

პირი რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან იმყოფებოდა შეურაცხ მდგომარეობაში, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება.

ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიიჩნევს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება თავდაცვის აშკარად შეუსაბამობა მომგერიემელზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან (საქართველოს სსკ 28-ე მუხლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-12 მუხლი), ხოლო უკიდურესი აუცილებლობის დროს დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე (საქართველოს სსკ 30-ე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლები).

აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის ფარგლების გადამეტება შემამსუბუქებელ გარემოებებადაა მიჩნეული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომისას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად აგრეთვე მიჩნეულია: 1. ბრალეულის გულწრფელი მონანიება; 2. ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების ღკვეთა, ზარალის ნებაყოფლობითი ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; 3. სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი ალელვების შედეგად ან მძიმე პირადი თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; 4. სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; 5. სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვის დედის მიერ; 6. სამართალდარღვევის ჩადენა როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობების დარღვევის დროს; 7. სამართალდარღვევის ჩადენა მუქარით, იძულებით, მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამო.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს და ცალკეულ შემთხვევაში კანონმდებელმა შეიძლება ესა თუ ის გარემოება შემამსუბუქებლად მიჩნიოს, მაგრამ დამამძიმებელი გარემოებების გაფართოება დაუშვებელია. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია შემდეგი: 1. მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად; 2. ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სახეობის სამართალდარღვევის განმეორებით ან სისტემატურად ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი; 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ნასამართლობის მქონე პირის მიერ; 4. არასრულწლოვნის ჩაბმა ან წაქეზება სამართალდარღვევაში; 5. სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ; 6. სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში საომარი ან საგანგებო მდგომარეობაში გამოცხადებულ ტერიტორიაზე; 7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით;

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მძიმე შედეგების გამოწვევა; 9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა მცირეწლოვნის, ღრმად მოხუცებულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; 10. სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში, ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ.

ფიზიოლოგიური სიმთვრალე, რა თქმა უნდა გამორიცხავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მაგრამ ჩვეულებრივი სიმთვრალის დროსაც ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისას ორგანოსა თუ თანამდებობის პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე მიიჩნიოს, პირის სიმთვრალე დამამძიმებელ გარემოებად.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ქმედების დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, არამედ სხვა გარემოებებიც, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, კერძოდ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალეულობის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა. [4]

ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი გულისხმობს ცალკეული სახის ადმინისტრაციულ გადაცდომას, რომელთაგან ზოგიერთი ნაკლებსაზიანოა ზოგიერთი კი მეტად, მაგრამ ზოგჯერ შეუძლებელია ამა თუ იმ დარღვევის საზიანო ბუნების მეტ-ნაკლები ხარისხის გარკვევა და მაშინ სახდელის დამდები ორგანო ვალდებულია გამოიყენოს კანონით ზუსტად განსაზღვრული სახდელი.

რაც შეეება დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებას ადმინისტრაციული სახდელის დადების დროს, აქ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პიროვნების თანამდებობა, სამსახურებრივი მდგომარეობა, სოციალური წარმოშობა და სხვა. მოქალაქეები თანაბრად აგებენ ადმინისტრაციულ პასუხს. მაგრამ პიროვნების დამსახურებას, მის ღირსებას და ამგვარ დეტალებს ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას. სახდელის დიფერენციაციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ღირსების პიროვნებას სხვადასხვა ზომის სახდელი შეეფარდოს, მაგრამ კანონის ფარგლებში.

ბრალის ხარისხის გარკვევისას, იგულისხმება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენა განზრახ, თუ გაუპრთხილებლობით.

ქონებრივი მდგომარეომის გათვალისწინების მთავარი მიზანია ის, რომ მეტი წილი სამართალდარღვევის ჩადენისას კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას, რომლის ოდენობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს დამრღვევის ქონებრივი მდგომარეობა, მისი შემოსავალი, ხელფასი და სხვა.

ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დადებულ იქნეს არა უგვიანეს 3 თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს 1 თვისა მისი აღმოჩენის დღიდან.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ.
3. ვ.ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, 2005 წელი. გვ.378.
4. ვ.ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, 2005 წელი. გვ.380.
5. ვ.ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, 2005 წელი. გვ.383.

Article received: 2005-07-22